განახლებულია
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის
N01/01-03 (30.01.2024) ბრძანებით

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურის ფუნქციონირების პრინციპებსა და წესს, აგრეთვე კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. მაგისტრატურის დანიშნულება და მიზანი

1. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკულ კომპონენტებს.
2. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურა მიზნად ისახავს სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ცოდნის გაღრმავებას ზოგადად დარგში ან მისი ცალკეული მიმართულებებით, ასევე მკვლევარის მომზადებას.

თავი II

მაგისტრატურაში სწავლა

მუხლი 3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება

1. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს სამართალმცოდნეობის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოური უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს და მობილობის წესით საქართველოს და უცხოეთის სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე რიცხულ, სამართლმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებს.
2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. მაგისტრატურაში ჩარიცხვის პირობები

1. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურაში ჩარიცხვა წარმოებს წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში, კონკურსის წესით.
2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა. სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა ტესტური გამოცდის მეშვეობით აღნიშნული ენის B2 დონაზე ცოდნის დადგენას. შესაბამის ენობრივ კომპეტენციას უთანაბრდება შემთხვევა, თუ კი აპლიკანტს გააჩნია უცხოეთში (პროგრამის მითითებულ ენაზე გავლის შემთხვევაში) მიღებული ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდა და კავკასიის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდა ან/და გასაუბრება.

მუხლი 5. საბუთების მიღება

1. მაგისტრანტობის კანდიდატმა განცხადებით უნდა მიმართოს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
   ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი) და მისი ასლი;

ბ. სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი;

გ. ერთი რეკომენდატორის მითითება;

დ. 2 ფოტოსურათი ზომით 3X4 (ბეჭდური და ციფრული ვერსია CD-ზე);

ე. მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულისათვის);

ვ. საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის დედანი გამოცდების ეროვნული ცენტრიდან (მისი არსებობის შემთხვევაში), ან მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან (www.naec.ge);

ზ. სამოტივაციო წერილი პროგრამაზე სწავლის თაობაზე;

თ. რეზიუმე - CV (ქართულ ენაზე);

ი. ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

კ. ადგილზე შევსებული ფორმა 1 (პირადი მონაცემების შესახებ).

2. ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატის განცხადება არ მიიღება.

მუხლი 6. გამოცდაზე დაშვების წინაპირობები

1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც დადგენილ ვადებში სრულად წარადგენს საბუთებს და აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, დაიშვება კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდასა ან/და გასაუბრებაზე.
2. მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდასა ან/და გასაუბრებაზე გადის სამართლის სკოლის დეკანის წარდგინებით კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილ მიმღებ კომისიასთან.

მუხლი 7. მაგისტრატურაში ჩარიცხვა

1. სამაგისტრო პროგრამაზე მიმღები კომისიის წევრები კანდიდატს აფასებენ დადგენილი შეფასების ფორმის მიხედვით. კანდიდატი ჩაირიცხება, თუ კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის საშუალო შეფასებით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი N6).
2. მაგისტრანტობის მსურველი სამართლის სკოლის მაგისტრატურაში ჩაირიცხება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. კავკასიის უნივერსიტეტსა და მაგისტრანტს შორის იდება ძირითადი და სემესტრული სასწავლო ხელშეკრულებები, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.
4. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში სტუდენტი სარგებლობს „უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებებით, იგი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის დებულება, "სტუდენტის სტატუსის შესახებ" დებულება და სხვა შიდა საუნივერსიტეტო აქტები, შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობები.

მუხლი 8. სემესტრული რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება

მაგისტრანტის მიერ სემესტრული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს სტუდენტის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. სემესტრული რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნებისა და/ან ამ თანხის მომდევნო სემესტრში გამოყენების უფლებას. კვლევით კომპონენტზე რეგისტრაცია არ უქმდება.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

მაგისტრანტისათვის სტუდენტის სტატუსი შეჩერების საფუძვლები განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულებით.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულებით.

თავი III
სამაგისტრო პროგრამა

მუხლი 11. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

1. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება ხდება:
   ა. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ;
   ბ. პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად.
2. სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი .
3. სამაგისტრო პროგრამის პროექტს და პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) კანდიდატურას სამართლის სკოლის დეკანი განსახილველად წარუდგენს სამართლის სკოლის საბჭოს. სამართლის სკოლის საბჭოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა და პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) კანდიდატურა ექსპერტიზისათვის გაეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს და დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასამტკიცებლად წარედგინება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
4. სამაგისტრო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსები.
5. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს:
   ა. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;
   ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერ-მკვლევარი, სამართლის დოქტორი;
   გ. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
6. სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს:
   ა. სამაგისტრო პროგრამის დასახელებას;
   ბ. მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს;
   გ. ინფორმაციას სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ;
   დ. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებას (სამაგისტრო პროგრამის მიზანი და აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენცია და უნარ-ჩვევები, დასაქმების სფეროები);
   ე. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს;
   ვ. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას;
   ზ. კვლევითი კომპონენტის დეტალურ აღწერას;
   თ. ინფორმაციას პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების შესახებ;
   ი. ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.
7. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით პროგრამის შემუშავებისას, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტისა, პროგრამაში დამატებით უნდა მიეთითოს პარტნიორი უნივერსიტეტი და დაერთოს ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების თაობაზე.

მუხლი 12. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

1. სამართლის სკოლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - არაუმეტეს 75 ECTS კრედიტის ათვისების შესაძლებლობას, შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ოპტიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.
2. სამართლის სკოლის მაგისტრატურაში სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის 7 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, სადაც მაგისტრანტმა შეიძლება დააგროვოს „დამატებითი კრედიტები, რომლის რაოდენობა, განისაზღრება ამ მუხლის წლიური ზღვრული კრედიტების მაჩვენებლის ფარგლებში“.

3. სამაგისტრო პროგრამა უნდა შედგებოდეს სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისგან და სრულდებოდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებითა და მისი საჯარო დაცვით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან .
4. მოდულებს შორის ფართო არჩევანი სტუდენტს საშუალებას აძლევს თავადვე ჩამოაყალიბოს საკუთარი პროფილი: აქცენტი გააკეთოს/შეარჩიოს კომპონენტები სავარაუდო დასაქმების სფეროსათვის ყველაზე საჭირო კომპეტენციების გამომუშავების მიზნით. სტუდენტმა არჩეული სამართლის დარგის მოდულიდან უნდა გაიაროს სავალდებულო საგანი, ასევე, ამავე მოდულში გაიაროს ნებისმიერი სხვა ორი საგანი. სტუდენტს მოეთხოვება ინგლისურენოვანი კომპონენტის მოდულიდან ერთ–ერთი საგნის გავლა. სტუდენტს შეუძლია დარჩენილი კრედიტების ფარგლებში გაიაროს საგნები არჩეული სპეციალიზაციის მოდულში, ან სხვა მოდულში ან თავისუფალი კრედიტების ნაწილში.
5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადის (2 წელი) დასრულების შემდეგ სათანადო თეორიული, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება აქვს დაასრულოს მაგისტრატურაში სწავლა მომდევნო ექვსი სემესტრის განმავლობაში. ყოველი ასეთი სემესტრის სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება სემესტრში ასათვისებელი კრედიტებიდან გამომდინარე, ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის არსებული წლიური გადასახადის მიხედვით.
6. დამატებითი წლის/სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.

თავი IV
პრაქტიკული კომპონენტი

მუხლი 13. პრაქტიკა/პროფესიული თარგმანი

1.პრაქტიკის მიზანია:

ა) სტუდენტის მიერ უშუალოდ საწარმოს საქმიანობის დაუფლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

ბ) უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაფართოების ხელშეწყობა;

გ) თეორიის პრაქტიკასთან მჭიდროდ შერწყმა, რაც გულისხმობს აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირებას რეალურ პრაქტიკასთან;

დ) იმ პრაქტიკულ პროცესებში ჩართვა, რომლებიც სრულად მისაღწევი არ არის უნივერსიტეტში (თანამედროვე ტექნოლოგიები, სამუშაო გარემო და საქმიანი ურთიერთობები);

ე) სასწავლო პროცესში შეძენილი და ჩამოყალიბებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება და ახალი ცოდნისა და კომპეტენციების ათვისება;

ვ) პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველზე მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება.

2. პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული კომპონენტი მოიცავს პრაქტიკას (17 ECTS კრედიტი) და პროფესიული თარგმანის პრაქტიკულ სასწავლო კურსს (17 ECTS კრედიტი). სტუდენტი ვალდებულია პრაქტიკულ კომპონენტში დააგროვოს 17 კრედიტი.

1. სამართლის სკოლის მაგისტრანტს შეუძლია პრაქტიკის ნაცვლად გაიაროს პროფესიული თარგმანის პრაქტიკული სასწავლო კურსი (17 ECTS კრედიტი), რაც უნდა დასრულდეს მთარგმნელობითი საქმიანობით, ბაკალავრიატისთვის დამხმარე სასწავლო მასალის, კაზუსთა კრებულებისა ან სამეცნიერო ჟურნალში გამოსაცემად სტატიის უცხოენოვანი ან ქართულენოვანი რედაქციის მომზადებით.
2. სპეციალობით მომუშავე მაგისტრანტს უფლება აქვს პრაქტიკა გაიაროს იმ დაწესებულებაში, რომელშიც ის მუშაობს და პრაქტიკით გათვალისწინებული 17 კრედიტი მოპოვებულად ჩაეთვლება იმ შემთხვევაში, თუ ის შეასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
3. სპეციალობით მუშაობაში ითვლება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად სტუდენტის მუშაობა სასამართლო ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო

დაწესებულებებში, აგრეთვე სამართლებრივი პროფილის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში და მიზნად ისახავს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პროფესიული მეტყველების უნარის განვითარებასა და საბოლოოდ მაღალი კვალიფიკაციის იურისტის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

4. პრაქტიკის სამუშაო გეგმა, შუალედური და დასკვნითი პრეზენტაციების შეფასების წესი და კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში.

მუხლი 14. სტუდენტთა შეფასება:

პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები აღწერილია შესაბამის სილაბუსებში.

თავი V

სამაგისტრო ნაშრომის სათაურის დამტკიცება

მუხლი 15. კვლევითი კომპონენტის მიზანი და ელემენტები

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი სავალდებულო ელემენტების სახით მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას .

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის შერჩევა

1. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) შერჩევა, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სასწავლო კომპონენტის 80 ECTS კრედიტის ამოწურვის შემდეგ. ამასთან, მაგისტრანტმა სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეასრულოს სამართლის იმ მიმართულებით, რომელშიც აირჩია სპეციალიზაციის მოდული.
2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევას სტუდენტი ახდენს ხელმძღვანელთან ერთად. სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ მენეჯერთან უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო თემის განაცხადი (თემის სათაური, თემის სტრუქტურა დანართი N1-ს შესაბამისად), ხელმძღვანელის CV და ხელმძღვანელის სარეკომენდაციო დასკვნა.
   - შემოდგომის სემესტრში 1 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით.
   - გაზაფხულის სემესტრში 1 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 17. მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

1. მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს:

   ა. სამართლის დოქტორის ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ–პროფესორი;

   ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების სამართლის დოქტორი;

   გ. აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი
2. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია სულ მცირე ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება იმ ქვედარგში/ვიწრო სპეციალობით, რომელშიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი.
3. სამეცნიერო ხელმძღვნელს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ნაშრომი/სტატია იმ ქვედარგში, რომელშიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი.
4. თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უარს აცხადებს ხელმძღვანელობაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ არგუმენტირებული და დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, მაგრამ არა უგვიანეს თემის დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში.
5. მაგისტრანტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ არგუმენტირებული და დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, მაგრამ არაუგვიანეს თემის დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

6. მაგისტრანტისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე არაუგვიანეს ერთი სემესტრით ადრე, შეიძლება იმავე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის თემა. ამ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია განმეორებით გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის თემის რეგისტრაციისათვის აუცილებელი პროცედურები.
7. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი(თანახელმძღვანელი) ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექტირებაში, პერიოდულად მისცეს განმავითარებელი შეფასება;
8. ნაშრომის დასრულების შემდეგ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) ადგენს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელის) წერილობითი დასკვნას, რომელიც უნდა შეიცავდეს:
   ა. ნაშრომის დასახელებას;
   ბ. ავტორის ვინაობას;
   გ. ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
   დ. ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მითითებით;
   ე. ნაშრომისათვის დაცვაზე რეკომენდაციის მიცემა/არ მიცემის დასაბუთებას;
9. მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ მონაწილეობს მაგისტრანტის ქულით შეფასების პროცესში, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში. ნაშრომზე დასკვნის დაწერისას გამოსაყენებელი კრიტერიუმები გათვალისწინებულია დანართი N2-ში.

მუხლი 18 . მაგისტრანტის მენტორი

1. კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციიდან სამაგისტრო ნაშრომის საჯარო (კომისიის წინაშე) დაცვამდე მაგისტრანტს აქვს შესაძლებლობა გაიაროს კონსულტაციები მენტორთან.
2. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კავკასიის სამართლის სკოლის დეკანი იღებს გადაწყვეტილებას იმ პირთა შესახებ, რომლებიც ჩართულნი იქნებიან მაგისტრანტების საკონსულტაციო/მენტორულ საქმიანობაში.
3. მაგისტრანტის მენტორი ვალდებულია სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს შეხვდეს სამჯერ (1-
1 საათით, სულ 3 საათი).
4. მენტორის მაგისტრანტებთან შეხვედრის ცხრილს, დროს, განრიგს ადგენს პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი მენტორთან/მენტორებთან შეთანხმებით.
5. მენტორი ვალდებულია, მაგისტრანტებს მისცეს რჩევები კვლევითი ნაშრომის დიზაინის, სტრუქტურის, კვლევის მეთოდების, ციტირების წესისა და წერის აკადემიური სტანდარტების შესახებ.

თავი VI
სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, წარდგენა და დაცვა

მუხლი 19. სამაგისტრო ნაშრომი

1. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება მის მიერ საჭირო ფორმით გაფორმებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს.
2. ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და წარმოაჩინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.
   სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე, წინამდებარე დებულებით დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით.

3. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

მუხლი 20. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

1. სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგინოს და დაიცვას რეგისტრაციიდან 2 სემესტრის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომი, ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს რეცენზენტ(ებ)ის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ კომისიის სხვა წევრების საშუალო შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს, თუ იგი 100 ქულიდან მიიღებს მინიმუმ 60 ქულას (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმა წარმოდგენილია დანართ **N** 4-ში.
2. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონული ვერსია, ხელმძღვანელის დასკვანსთან ერთად, ეგზავნება სამართლის სკოლის უფლებამოსილ პირს, დადგენილ ვადებში:
   - შემოდგომის სემესტრში 8 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით.
   - გაზაფხულის სემესტრში 8 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით.
3. სამართლის სკოლის უფლებამოსილი პირი ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ნაშრომი, ხელმძღვანელის დასკვნა) შესაბამისობას ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან. თუკი წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება მოთხოვნებს, ნაშრომი უნდა შემოწმდეს პლაგიატის პროგრამაში. ხოლო, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხარვეზით არის წარმოდგენილი/არ შეესაბამება მოთხოვნებს, მაგისტრანტს ეცნობება აღნიშნულის შესახებ და სამართლის სკოლის მიერ განესაზღვრება ვადა აღმოჩენილი გარემოებების აღმოფხვრის მიზნით.
4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პლაგიატზე შემოწმების წესები რეგულირდება "პლაგიატის ამოცნობის და თავიდან არიდების პროგრამაში („ტურნიტინში") სტუდენტთა ნაშრომის შემოწმების წესის" შესაბამისად.
5. სამაგისტრო ნაშრომს ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სტუდენტი ამოწმებს პლაგიატის პროგრამაში. შედეგებს აცნობებს ხელმძღვანელს.
6. მაგისტრანტი საბოლოო სამაგისტრო ნაშრომის ერთ აკინძულ ბეჭდურ ვერსიას და ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში) წარუდგენს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციულ დირექტორს.
7. წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა დაერთოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს წერილობითი დასკვნა (დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის წერითი ნაშრომის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას) დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (იხ. დანართი N 21)
8. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი წერს დადებით დასკვნას, ნაშრომი განსახილველად გადაეცემა რეცენზენტს/რეცენზენტებს.
9. რეცენზენტი/რეცენზენტები ნაშრომის გაცნობის შემდეგ, წერს/წერენ რეცენზიას ამავე დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად.
10. იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს დასკვნა არის უარყოფითი, ხოლო სტუდენტი არ ეთანხმება ხელმძღვანელის დასკვნას, სტუდენტს უფლება აქვს ინფორმაციის ოფიციალური სახით (მ.შ. ელექტრონულად) მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება. ამ მიზნით, სტუდენტი წერს განცხადებას/საჩივარს პრეზიდენტის სახელზე, სადაც ის დეტალურად და არგუმენტირებულად უთითებს/განმარტავს ხელმძღვანელის დასკვნის გასაჩივრების მიზეზებს.
11. სტუდენტის საჩივრის მიღების შემდეგ, მოწმდება საჩივრის დასაშვებობა - ექვემდებარება თუ არა დაშვების პირობებს. საჩივარი დასაშვებია, თუ დაცულია საჩივრის შეტანის ვადა, სტუდენტის საჩივარი დასაბუთებული და არგუმენტირებულია.

12. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დასაშვებია, საჩივრის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ნაშრომი ანონიმურად ეგზავნება დარგის სპეციალისტს, ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად. დარგის სპეციალისტი ეცნობა მათ და მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წერს დასკვნას.
13. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ასაჩივრებს ხელმძღვანელის უარყოფით დასკვნას ან გასაჩივრების შემთხვევაში დარგის სპეციალისტი ნაშრომს აფასებს ასევე უარყოფითად, სტუდენტს კვლევით კომპონენტში საბოლოო შეფასებად უფიქსირდება "F" და სტუდენტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
14. იმ შემთხვევაში, თუ დარგის სპეციალისტის შეფასება განსხვავდება ხელმძღვანელის შეფასებისაგან, ნაშრომი გადის დაცვაზე ამ დებულების მე-18 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებში მითითებული პროცედურების დაცვით. ასეთ შემთხვევაში, კომისიის ერთ-ერთი წევრი აუცილებლად უნდა იყოს სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელიც კომისიის სხდომას ესწრება მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეთანხმდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

მუხლი 21. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზია

1. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, სკოლის დეკანი, ნაშრომის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მაგისტრანტის ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას შემფასებლის (რეცენზენტის) დანიშვნის შესახებ.

2. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი (რეცენზენტი) შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სამაგისტორო პროგრამის შესაბამის სფეროშიგამოქვეყნებული აქვს შრომები ბოლო 5 წლის განმავლობაში. შემფასებელი (რეცენზენტი) არ შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელი.

3. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომზე შესრულებულ წერილობით დასკვნას წარუდგენს სამართლის სკოლის ადმინისტრაციას ნაშრომის გადაცემიდან 20 დღის განმავლობაში.

1. რეცენზიაში უნდა აისახოს:
   ა. ნაშრომის დასახელება;
   ბ. სამაგისტრო თემის აქტუალურობა;
   გ. კვლევის მეცნიერული დონე და გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია);
   დ. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ხარისხი;
   ე. ნაშრომისათვის დაცვაზე რეკომენდაციის მიცემა/არ მიცემის დასაბუთება;
2. რეცენზენტი აკეთებს წერილობითი დასკვნას სამაგისტრო ნაშრომის შესახებ, აუცილებელი მითითებით: სამაგისტრო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად თუ არა.
3. რეცენზენტი ნაშრომის შეფასებისას და შესაბამისი დასკვნის მომზადებისას იყენებს დანართი N3-ით დადგენილ შეფასების კრიტერიუმებს. .
4. რეცენზია უნდა დადასტურდეს რეცენზენტის ხელმოწერით და მიეთითოს შესაბამისი თარიღი.
5. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტის მიერ რეცენზიის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, სამართლის სკოლის დეკანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორის წარდგინებით ნიშნავს ახალ რეცენზენტს.
6. რეცენზენტის დასკვნა წარმოდგენიდან ერთი კვირის ვადაში ეგზავნება მაგისტრანტს, რომელიც დასკვნის საფუძველზე მოემზადება სამეცნიერო კამათისთვის.
7. რეცენზენტი/რეცენზენტები ნაშრომის გაცნობის შემდეგ, წერს/წერენ რეცენზიას და ასევე, აფასებენ ნაშრომს მაქსიმუმ 40 ქულით, რომელიც არის კვლევითი კომპონენტის 100 ქულიანი შეფასების შემადგენელი კომპონენტი.
8. რეცენზენტის მიერ შეფასების წესი მოცემულია წინამდებარე დებულების --- მუხლში.

მუხლი 22. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი დეკანის წარდგინებით ბრძანებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის სულ მცირე 3 წევრისაგან.
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში უფიქსირდება სამეცნიერო კვლევები.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების გარდა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას უნდა დაესწროს მაგისტრანტის ხელმძღვანელი და რეცენზენტი (რეცენზენტები).
5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე,
6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი
7. სამაგისტრო კომისიის წევრი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დარგის გამორჩეული პრაქტიკოსი, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში უფიქსირდება სამეცნიერო კვლევები. კომისია შედგება მინიმუმ 3 (სამი) და მაქსიმუმ 5 (ხუთი) პირისაგან.

კომისია შემადგენლობაა: მეცნიერ-ხელმძღვანელი, რეცენზენტი და დარგის სპეციალისტები. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს კომისიის წევრთა რაოდენობა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ, დასკვნით სხდომაზე.

მუხლი 23. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტის სრულად შესრულების შემდეგ.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ, რომლის მსვლელობისას მაგისტრანტი წარმოაჩენს ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგებს.

2. დაცვის პროცესი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტის წინაშე. დაცვის პროცესი არის ღია. ხელმძღვანელის დაცვის პროცესში დისტანციურად მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტით ხელმძღვანელით ჩანაცვლებას, დაცვის პროცესის ჩატარების მიზნით.
3. სტუდენტი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დღეს იმყოფება საზღვარგარეთ აქვს შესაძლებლლობა განცხადებით მიმართოს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს და დისტანციურად (ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით) განახორციელოს სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია, რომელიც ფასდება ამ დებულებით გათვალისწინებული შეფასების წესების სრული დაცვით.
4. კომისიის სხდომაზე სამართლის სკოლისწარმომადგენელი აცხადებს მაგისტრანტის ვინაობას და სამაგისტრო ნაშრომის თემას, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ა და რეცენზენტის ვინაობას, დამსწრე საზოგადოებას აცნობს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურას.
5. პრეზენტაციაზე მაგისტრანტი მოკლედ აყალიბებს ნაშრომის ძირითად დებულებებს, კვლევის ობიექტსა და მეთოდებს, მიღებულ შედეგებსა და დასკვნებს. პრეზენტაცია არ უნდა აღემატებოდეს 10 -15 წუთს.
6. პრეზენტაციის დასრულებისთანავე რეცენზენტი კითხულობს დასკვნას. მაგისტრანტმა უნდა ჩამოაყალიბოს თავისი აზრი, აღნიშნოს გაითვალისწინა თუ არა რეცენზენტ(ებ)ის რეკომენდაციები, რის შემდეგაც იმართება დისკუსია მაგისტრანტსა და კომისიის წევრებს შორის.

მუხლი 24. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად ,ერთაიანად, მთლიანობაში, დასკვნითი შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას, დაცვის დასრულებისთანავე დახურულ სხდომაზე ახორციელებენ

სამაგისტრო ნაშრომის შემფასებლები (რეცენზენტები) და დაცვის კომისიის წევრები/გამომცდელები. შემფასებლები (რეცენზენტები) სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო დაცვის კომისიის წევრები/გამომცდელები - მაქსიმუმ 60 ქულით. საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელთა (რეცენზენტთა) და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრთა/გამომცდელთა რაოდენობაზე).

2. დაცვის კომისიის წევრთა / გამომცდელთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 60 ქულის ფარგლებში
ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალობა - 10 ქულა;
- ნაშრომის სტრუქტურა - 10 ქულა;
- კვლევის მეთოდოლოგია და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა - 10 ქულა;
- კვლევის საბოლოო შედეგები - 10 ქულა;
- ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა - 10 ქულა;
- პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა.

3. შემფასებელთა (რეცენზენტთა) მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 40 ქულის ფარგლებში ხდება
შემდეგი კრიტერიუმებით:

- შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალობა - 10 ქულა;
- ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა - 10 ქულა;
- კვლევის მეთოდოლოგია და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა - 10 ქულა;
- კვლევის საბოლოო შედეგები - 10 ქულა.

4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ფასდება 100-ქულიანი სისტემით.

5. . სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ითვლება, თუ შემფასებლების (რეცენზენტების) და დაცვის კომისიისწევრების მიერ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება მინიმუმ 60 ქულით.

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელიდაცვის დასასრულს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს კომისიის წევრების მიერ დაწერილ ნაშრომის ჯამურ შეფასებას.
2. თუ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომისა და მისი საჯარო დაცვის ერთობლივი, ჯამურიშეფასებით, ვერ მიიღებს მინიმუმ 60 ქულას, მაგრამ მისი შეფასება იქნება 41-59 ქულის ფარგლებში, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო თუ სტუდენტის შეფასება იქნება 0-40 ქულის ფარგლებში "F", მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
3. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად - "F"-ით შეფასებული სამაგისტრო ნაშრომის ერთი პირი და კომისიის წევრთა წერილობითი შეფასებები შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.
4. F-ის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში სამართლის სკოლის დეკანს წარუდგინოს განცხადება სამაგისტრო თემის დამტკიცების მოთხოვნით. სამართლის სკოლის დეკანის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შესაბამის სასწავლო სემესტრში დარეგისტრირდება სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტზე, წინამდებარე დებულების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით .
5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, მის მსვლელობასა და საბოლოო შედეგებზე სამართლის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ადგენს ოქმს, რომელსაც იგი ხელს აწერს კომისიის წევრებთან ერთად. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ოქმი ინახება მაგისტრანტის პირად საქმეში.

მუხლი 25. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრება

1. სამაგისტრო ნაშრომში მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებული პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე დაწეროს განცხადება/საჩივარი შედეგის გამოცხადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
2. სტუდენტის საჩივრის მიღების შემდეგ, მოწმდება საჩივრის დასაშვებობა - საჩივარი ექვემდებარება თუ არა დაშვების პირობებს. საჩივარი დასაშვებია, თუ დაცულია საჩივრის შეტანის ვადა, სტუდენტის საჩივარი დასაბუთებული და არგუმენტირებულია.
3. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დასაშვებია, საჩივრის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, სტუდენტის საჩივარი განსახილველად წარედგინება ნაშრომის დაცვის კომისიას. კომისია დეტალურად ეცნობა სტუდენტის საჩივარს და პასუხობს საჩივრის თითოეულ კითხვას. კომისია უფლებამოსილია შეცვალოს შეფასება, რაც უნდა იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული. კომისიის წერილობითი დასკვნა სტუდენტს ეცნობება (მ.შ. ელექტრონულად) გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
4. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 26. სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. სტუდენტს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მასზე გაიცემა დიპლომი სტანდარტული ფორმით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ :

- სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება არანაკლებ 60 ქულით;
- ის შეასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ აკადემიურ მოთხოვნებს და უნივერსიტეტის მიმართ არ ექნება ფინანსური დავალიანება.

2. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულაციური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულს აძლევს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელ დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით შევსებულ დანართთან ერთად. წარჩინების დიპლომი გაიცემა - GPA 3.8-ზე მეტი კომპენტენციის დონის დადასტურების, ხოლო ჩვეულებრივი დიპლომი - სხვა დანარჩენ შემთხვევაში. დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით.
3. მაგისტრანტისათვის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების და შესაბამისი დიპლომის გაცემის შესახებ საკითხს ამტკიცებს სამართლის სკოლის საბჭოს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გამოიცემა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანება.
4. სამართლის სკოლის საბჭოს ოქმი გადაეცემა კავკასიის უნივერსიტეტის რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს, რომელიც ბრძანების პროექტს და დიპლომის დანართს წარუდგენს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
5. ბრძანების გამოცემა, აგრეთვე დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება წარმოებს კავკასიის უნივერსიტეტში დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

თავი VI
სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები

მუხლი 27. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 50 და არაუმეტეს 60 გვერდისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი“.
2. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

2.1. სატიტულო გვერდი;
2.2. განაცხადის გვერდი;
2.3. ანოტაცია (ქართულად და ინგლისურად);
2.4. შინაარსი (სარჩევი);

2.5. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი (არსებობის შემთხვევაში);
2.6. შესავალი;
2.7. ტექსტის ძირითადი ნაწილი;
2.8. დასკვნა;
2.9. დანართები (არსებობის შემთხვევაში);
2.10. გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა.
2.2 . სამაგისტრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:
2.2.1. ცხრილები;
2.2.2. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა;
2.2.3. დანართები.

3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.
4. სამაგისტრო ნაშრომის გვერდის ველი ზედა და ქვედა კიდიდან 2 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული, მარცხენა კიდიდან - 3 სმ-ით, მარჯვენა კიდიდან - 1.5 სმ-ით.
5. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებულ უნდა იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. თავის სათაურის შრიფტის ზომა 14 Bold, ქვეთავის სათაურისა - 12 Bold. თავის სათაური ტექსტისგან გამოიყოფა 3 ინტერვალის გამოტოვებით, ქვეთავის სათაური თავის სათაურსა და ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.
6. სამაგისტრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე, დაუშვებელია გვერდების გამეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (I, II, III და ა. შ.). სამაგისტრო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილები ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ–ით.
7. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1. აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით, ცხრილები და გრაფიკები ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით.
8. სამაგისტრო ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
9. სამაგისტრო ნაშრომში აბრევიატურის გამოყენებისას, პირველ შემთხვევაში ის უნდა იყოს გაშიფრული, რის შემდეგაც ფრჩხილებში მიეთითება აბრევიატურა, რომელიც შემდგომ იქნება გამოყენებული (მაგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შედგომში - სსკ); ამავე პრინციპით სათაურის ერთზე მეტად გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია აბრევიატურის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემოკლება სიმბოლოთა სრულიად უჩვეულო კომბინაციას ქმნის.
10. სამაგისტრო ნაშრომში სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით.
    ძირითად ტექსტში ბიბლიოგრაფიული სქოლიოს მითითება წარმოებს „ფუტნოტის“ პრინციპით.

მუხლი 28 . სქოლიოს გაფორმების წესი

1. სამართლებრივი აქტის გამოყენებისას აუცილებელია სქოლიოში მიეთითოს მისი სრული დასახელება და წყარო, რომელშიც ის გამოქვეყნდა, აგრეთვე თარიღი.

2. ლიტერატურული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს:

ა. წიგნისთვის - ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სათაური (უბრჭყალებოდ), ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

ბ. კრებულის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭალებოდ), კრებულის სახელწოდება (უბრჭალებოდ), მითითებით, თუ ვისი რედაქციით გამოდის, ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

გ. ჟურნალის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭალებოდ), პერიოდიკის სახელი შემოკლებით (ჟურნ., გაზ.,) სახელწოდება (ბრჭყალებში) ნომერი, წელი (თვე, რიცხვი), გვერდი (გვ.-ს გარეშე); უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამისი ოფიციალური თარგმანის მითითებით).

დ. სქოლიოში აუცილებელია ერთიანი სისტემის დაცვა: ავტორი და ნაშომის სათაური გამოიკვეთოს სიტყვათა სხვადასხვა დახრილობით (მაგ., ავტორი - დახრით, დანარჩენი ინფორმაცია - გამართულად, ასევე დახრით მიეთითოს ყველა გამოყენებული გვარი, მაგ., რედაქტორის), ამავე დროს, ყველა ერთეული (გარდა გვარისა და სახელის ინიციალისა) ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით და სქოლიოს ბოლოს დაისმის წერტილი.

- ✓ ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბ., 2016, 342.
- ✓ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) თბ., 2014, 472.

ე. მასალა, რომელიც მოპოვებულია ინტერნეტის საშუალებით, საჭიროებს შესაბამისი ინტერნეტგვერდისა და ბოლო განახლების თარიღის მითითებას; სტატიის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, სტატიის სათაური, ინტერნეტ გვერდი, თარიღი. სამკუთხედ ფრჩხილებში (<....>) მიეთითება ელექტრონული მისამართი, კვადრატულ ფრჩხილებში ([....]) კი ბოლო განახლების თარიღი.

ვ. საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებებისათვის:

- Court of Justice

მაგ. Case 16/62, Van Gen en Loos, [1963] ECR 95.

- European Court of Human Right

მაგ. Kostovski v. The Netherlands, [1990] ECHR (Ser. A.), 221.

- International Court of Justice

მაგ. Maritime Delimitation and territorial Questions Between Qatar and Bahrin, [1995] ICJ Report.

- საქმეებისა და მათი გადაწყვეტილებების ტექსტში გამოიყენება ქართულად, სრულად კი ორიგინალის ენაზე შეიძლება იქვე მიეწეროს, ან სქოლიოში მიეთითოს შემდეგი თანმიმდევრობით: მხარე მხარის წინააღმდეგ, წელი, გამომქვეყნებელი ორგანო, გვერდი, სასამართლო.

მაგ. დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისთვის: საქმე არგელი არგელის წინააღმდეგ (Arggyll v Argyll, [1967] 1 Ch 302, 324, 332)).

- აშშ-ის სასამართლოებისთვის: საქმე ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ (Brown v Board of Education, 347 US 483 (19540))

ზ. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებისათვის აუცილებელია ოფიციალური ეროვნული სტილის შენარჩუნება. ერთგვაროვანი ეროვნული მიდგომის არარსებობის შემთხვევაში ავტორმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი წესით: საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენებისას უნდა გამოიყოს შემთხვევები - 1. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია, 2. შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში, 3. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში - და ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომები.

თ. საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტების დამოწმების წესი გამოიყენება იმ სტილით, რომელიც გამოყენებულია ოფიციალურად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (იხ. ოფიციალური ვებ-გვერდები).

ი. კონვენციები და საერთაშორისო ხელშეკრულებები მიეთითება, მაგ.: 1985 Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer.

კ. უცხოური ტერმინები და გამოთქმები უნდა გადმოიცეს სქოლიოში, თუ ნაშრომის უშუალო მიზანი არ არის ტერმინის წარმოშობის დადგენა.

ლ. ქართული ტექსტისთვის უნდა გამოვიყენოთ ,,ქვედა'' და ,,ზედა'' (,,...'') ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის - ,,ზედა'' (''...'') ბრჭყალები.

მ. ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები - წერტილი, ორწერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები - დაისმის ბრჭყალის წინ, როცა ისინი ასრულებენ წინადადებას, თუ ბრჭყალის შემდეგ, კონტექსტის მიხედვით, თუ ეს ბრჭყალი ეკუთვნის ცალკეულ სიტყვას ან ფრაზას. როდესაც სიტყვასთან ერთდროულად თავს იყრის ბრჭყალი, სასვენი ნიშანი და სქოლიოს ნიშანი, უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: 1. ბრჭყალი, 2. სასვენი ნიშანი, 3. სქოლიოს ნიშანი; ციტირებული ტექსტის (წინადადების) ბოლოს კი: 1. სასვენი ნიშანი, 2. ბრჭყალი, 3. სქოლიოს ნიშანი. ერთად არ იწერება ორი ბრჭყალი. ფრჩხილების შემთხვევაში კი შეიძლება მათი განსხვავებული ფორმების გამოყენება.

ნ. სქოლიოში იმავე წყაროზე მითითებისას, რომელიც უკვე გამოყენებული იყო, საჭიროა გამოიყოს შემდეგი შემთხვევები:

- ზუსტად წინა სქოლიოში მითითებული წყაროს ნაცვლად მიეთითება ,,იქვე'' . ,,იქვეს'' შემდეგ კი (თუ საჭიროა) მიეთითება განსხვავებული მონაცემები (ტომი, წელი, გვერდი);
- მანამდე მითითებული, მაგრამ არა წინამდებარე წყაროს გამოყენებისას უნდა მიეთითოს ამ წყაროს სრული დასახელება შესაბამისი გვერდით.

მუხლი 29. სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები

1. სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

<u>**ა.** ფორმალური ნაწილი:</u>

ა.ა. სატიტულო გვერდი;
ა.ბ. ხელმოწერების გვერდი;
ა.გ. საავტორო უფლების გვერდი;
ა.დ. რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
ა.ე. სარჩევი;

<u>**ბ.** შინაარსობრივი ნაწილი:</u>

ბ.ა. შესავალი;
ბ.ბ. ძირითადი ტექსტი;
ბ.გ. დასკვნა.

<u>**გ.** ბიბლიოგრაფია.</u>

2. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი ნაწილებია:

ა. ცხრილების ნუსხა;
ბ. დანართები;

მუხლი 30 . სამაგისტრო ნაშრომის ფორმალური ნაწილი

1. სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, ავტორისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სახელსა და გვარს ასევე, ტექსტს „სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „კავკასიის უნივერსიტეტი“, „ქ. თბილისი, საქართველო“. ამ გვერდის ნომერი არის (I), თუმცა იგი არ მიეთითება (დანართი 5).
2. სატიტულო გვერდი – ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით:

- ლოგოს ქვემოთ უნდა მიეთითოს „კავკასიის უნივერსიტეტი“
- (შრიფტის ზომა: 14);
- 2-3 სმ-ის დაშორებით მიეთითება სკოლა; (შრიფტის ზომა: 14);
- 2–3 სმ–ის დაშორებით იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი სახელობით ბრუნვაში (შრიფტის
- ზომა: 14);
- შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა: 16; მას არ მიეწერება

სიტყვა „თემა“ და ბრჭყალებში ჩასმას არ საჭიროებს);

- სათაურის შემდეგ იწერება სამაგისტრო პროგრამის დასახელება (შრიფტის ზომა: 14);
- სამაგისტრო პროგრამის დასახელების ქვემოთ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარდგენილი ნაშრომი დასაცავად (შრიფტის ზომა: 14);
- სატიტულო გვერდის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის – სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა;
- თავფურცლის ბოლოს, შუა ნაწილში, იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი, ქალაქი
  და წელი; (მაგ: თბილისი - 2022; შრიფტის ზომა: 14);
- (იხილეთ ნიმუში დანართი #5)

3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმოწერების გვერდი (გვერდი (II)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. ნაშრომის წარმოსადგენ ვერსიის ყველა ეგზემპლიარს უნდა ჰქონდეს ორიგინალი ხელმოწერები. ეს გვერდი უნდა მოიცავდეს შემდეგ ტექსტს: „კავკასიის უნივერსიტეტი“, „სამართლის სკოლა“, „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბჭოში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ა და ყველა რეცენზენტის ხელმოწერით.
4. სამაგისტრო ნაშრომის საავტორო უფლების გვერდი (გვერდი (III)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალი ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს მიზნობრივი განკარგვის (არაკომერციული-საგანმანათლებლო მიზნებით გავრცელების და რეფერირების) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „კავკასიის უნივერსიტეტი“, სკოლის საბჭოში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, სკოლის დასახელებას, საძიებელ აკადემიურ ხარისხს, სხდომის ჩატარების თარიღს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს “ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშული დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საავტორო მომიჯნავე უფლებებს. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“
5. სამაგისტრო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს მის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი. რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე. სკოლის საბჭოს უფლება აქვს მოახდინოს რეზიუმეს გავრცელება როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე. თუ სამაგისტრო ნაშრომი სხვა ენაზეა შესრულებული, მაშინ რეზიუმე უნდა დაერთოს ქართულ ენაზე. აუცილებელია, ინგლისურენოვან რეზიუმეს მარჯვენა მხარეს მიეთითოს მაგისტრანტის სახელი და გვარი, ხოლო შუა ნაწილში განთავსდეს თემის ზუსტი სათაური.
6. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს, რომელიც ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით მინდორთან. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, განაცხადის, რეზიუმეს და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით. გვერდები ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში,არაბული ციფრებით. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „–“, „_“.

მუხლი 31 . სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ნაწილი

1. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტი უნდა შეიცავდეს შესავალს, ძირითად ტექსტსა და დასკვნას.
2. შესავალი სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა წარმოჩნდეს საკვლევი პრობლემატიკა, განისაზღვროს კვლევის აქტუალობა, მისი მიზანი და ამოცანები, ჩამოყალიბდეს ჰიპოთეზა (ავტორისეული მეცნიერული ვარაუდი, რის დამტკიცებასაც ის კვლევის შედეგად მოელის), მეთოდოლოგია (გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობის დასაბუთებით და იმის ჩვენებით, თუ ნაშრომთან მიმართებით, რა მიზნით იქნა გამოყენებული ყოველი კონკრეტული მეთოდი). შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.
3. შესავალი ნაწილში უნდა აისახოს:

- თემის აქტუალურობა;
- კვლევის მიზნები;
- კვლევის ამოცანები;
- საკვლევი კითხვა/კითხვები და საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზა;
- კვლევის საგანი და ობიექტი;
- პრობლემის კვლევის მდგომარეობა (ლიტერატურის მიმოხილვა);
- კვლევის თეორიული ჩარჩო;
- კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია და მეთოდები;
- ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა;

რა განასხვავებს მოცემულ სამაგისტრო ნაშრომს წინა კვლევებისგან.

4. ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად /ქვეთავებად. თავები გადაინომრება თანმიმდევრულად. ქვეთავებს დაესმის თავისა და ქვეთავის ნომრები. თავის დასახელება იწერება 16/14–იანი ზომის შრიფტით. ტექსტი შეიძლება მოიცავდეს 3–6 თავს, თითოეული თავი კი 2 - 5 ქვეთავს. შესავალი, თითოეული თავი და დასკვნა უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავები გაგრძელდეს იმავე გვერდზე. ძირითად ტექსტში უნდა აისახოს კვლევის თეორიული კონტექსტი და მათში განვითარებული წინააღმდეგობრივი იდეები, სადავო საკითხები, დეტალურად უნდა იქნას აღწერილი ჩატარებული კვლევა, გამოიკვეთოს მისი შედეგები, საკუთარი მეცნიერული მიგნებები, ახალი შეხედულებები და მიდგომები.

კვლევის შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

5. დასკვნა – წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს (ეთმობა ნაშრომის საერთო მოცულობის 10%-მდე). დასკვნაში შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები. დასკვნით ნაწილში ჯამდება კვლევის შედეგები, იკვეთება ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, წარმოჩნდება მეცნიერული სიახლე, განისაზღვრება რეკომენდაციები იმპლემენტაციის არეალისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ჩვენებით.

მუხლი 32. ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი

1. ბიბლიოგრაფია სამაგისტრო ნაშრომში კონსოლიდირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და ნუმერირებული.
2. უპირველესად უნდა განთავსდეს ქართულენოვანი ნორმატიული მასალა (მიღების თარიღის მითითებით), შემდეგ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა ანბანური წესით. ქართულენოვან სამეცნიერო წყაროებს უნდა მოსდევდეს ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები (უახლესიდან უძველესისკენ). ქართულენოვანი წყაროების შემდეგ იმავე თანმიმდევრობით უპირველესად განთავსდება უცხოენოვანი ნორმატიული მასალა, უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები, ელექტრონული ბმულები (გადამოწმების თარიღის მითითებით) და უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები. სამეცნიერო ლიტერატურის ბოლოს მიეთითება შესაბამისი გვერდები. ერთი და იმავე წყაროს ნაშრომში სხვადასხვა გვერდების მითითებით რამდენჯერმე გამოყენების შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიაში ერთხელ მიეთითება შესაბამისი წყარო და ყველა გვერდის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც განხორციელდა ნაშრომში.

მუხლი 33. სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი ნაწილები

1. თუ სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.
2. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ–თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.
3. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1–ის ტოლი.
4. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.
5. თუ სამაგისტრო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს სადისერტაციო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.
6. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა სამაგისტრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში სამაგისტრო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.
7. ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომს დაერთოს ანბანური საძიებელი. ანბანური საძიებელი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის ან გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის შემდეგ.
8. თუ სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ისეთი მასალა, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით (მაგალითად ილუსტრუციები, სპექტრები, ნახატები და სხვა), მაშინ ავტორი ვალდებულია, მისი გამოყენების შესახებ მიიღოს ნებართვა შესაბამისი გამომცემლობისგან ან ავტორისგან. საავტორო ნებართვის შესაბამისი წერილი უნდა დაერთოს ნაშრომს დანართის სახით.
9. სამაგისტრო პროგრამა სარგებლობს ციტირების ჩიკაგოსა სტილით. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ფორმდება შესაბამისი აკადემიური სტილის მიხედვით.
10. შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია სქოლიოების სახით, საჭიროების შემთხვევაში, დაერთვის თითოეული გვერდის ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით.

მუხლი 34. პლაგიატი

1. ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას არასათანადო წესებით
(ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ეწოდება პლაგიატი.

2. პლაგიატი (plagiatus ლათ.) ნიშნავს მიტაცებულს. მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებსით თუ უნებლიეთ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით;

ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ.

3. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტის მიმართ გავრცელდება დისციპლინური ღონისძიებები, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისირების კოდექსით.

თავი VII
მაგისტრატურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

მუხლი 35. შეთანხმება სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაზე

1. კავკასიის უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად განახორციელოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
2. სამაგისტრო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით და საქართველოსა და პარტნიორი უნივერსიტეტის კანონმდებლობის შესაბამისად.
3. უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ფორმებია:
   ა. ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
   ბ. მაგისტრანტის თანახელმძღვანელობა;
   გ. მიღებული განათლების აღიარება;
   დ. ერთობლივი ხარისხის მინიჭება.

მუხლი 36. განცხადება მაგისტრატურაში ჩარიცხვის შესახებ

პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში მაგისტრატურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წინაპირობებს, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებით ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ.

თავი VIII
დაფინანსება

მუხლი 37. დაფინანსების წყაროები

სამართლის სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

თავი IX
მობილობა

მუხლი 38. მობილობა მაგისტრატურაში

1. მობილობის უფლება მაგისტრანტს ეძლევა სწავლების პირველი აქტიური წლის დამთავრების შემდეგ, სემესტრის დაწყებამდე, წელიწადში ორჯერ, კანომდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.
2. სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სამართლის სკოლის მაგისტრატურაში მობილობის წესით გადმოსვლისას, მაგისტრანტი კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს მიმართავს შესაბამისი განცხადებით, რასაც თან დაურთავს შესაბამის დოკუმენტაციას.
3. კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ განცხადებაზე რეზოლუციის დადების შემდეგ, სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობას და ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას ადგენს სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი, სამაგისტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

4. თუ მაგისტრანტი ეთანხმება დასკვნას, იგი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით მიმართავს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც ირიცხება.
5. მობილობის მსურველი პირი სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამების დირექტორს წარუდგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ამონაწერს, საგანმანათლებლო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა,
6. მობილიობისთვის აუცილებელი საბუთები, სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორის მიერ შესაბამის მოხსენებით ბარათთან ერთად, წარედგინება სამართლის სკოლის დეკანს.

თავი X
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 39. გარდამავალი დებულებები

ამ დებულების ამოქმედებამდე სამართლის სკოლის მაგისტრატურაში ჩარიცხული მაგისტრანტების მიერ მოპოვებული კრედიტები და შესრულებული სხვა სამუშაოები გადახედვას არ ექვემდებარება.

მუხლი 40. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების დამტკიცება, ისევე როგორც მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ინდივიდუალურ–ადმინისტრაციული აქტით.
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადების დასმის უფლება აქვს სამართლის სკოლის დეკანს ან სამართლის სკოლის საბჭოს ნებისმიერ წევრს. დასაბუთებულ წინადადებას განიხილავს სკოლის საბჭო უახლოეს სხდომაზე. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამართლის სკოლის დეკანი სკოლის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას განსახილველად წარუდგენს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
3. წინამდებარე დებულება ამოქმედდეს მისი ძალაში შესვლის შესახებ ბრძანების ხელმოწერისთანავე.

დანართი N1

კავკასიის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განაცხადი

სამაგისტრო ნაშრომის სათაური:	
სტუდენტის სახელი, გვარი	
ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
ხელმძღვანელის სტატუსი	□ კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი □ მოწვეული პერსონალი
თემის სავარაუდო სტრუქტურა:	
□ თანახმა ვარ სტუდენტს გავუწიო ხელმძღვანელობა ნაშრომზე მუშაობის პროცესში.	
ხელმძღვანელის ხელმოწერა:	
□ თანახმა ვარ სტუდენტს გავუწიო თანახელმძღვანელობა ნაშრომზე მუშობის პროცესში.	
თარიღი: /-/-/	

დანართი N2

კავკასიის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
სამაგისტრო ნაშრომის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს დასკვნა

ნაშრომის ავტორი:
ნაშრომის ხელმძღვანელი:

- შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა
- კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები
- შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა
- თემასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მოძიებისა და გამოყენების კოეფიციენტი;
- ნაშრომში კვლევის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციების ხარისხი;
- გამოყენებული ლიტერატურის სიახლე და მრავალფეროვნება;
- გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურის ინდექსი;
- ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის
  კულტურა

პლაგიატზე შემოწმების შედეგები

დანართი N3

რეცენზენტის დასკვნის ფორმა

ნაშრომის ავტორი:
რეცენზენტი:

- შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა
- კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები
- შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა
- თემასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მოძიებისა და გამოყენების კოეფიციენტი;
- ნაშრომში კვლევის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციების ხარისხი;
- გამოყენებული ლიტერატურის სიახლე და მრავალფეროვნება;
- გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურის ინდექსი;
- ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის
  კულტურა

დანართი N4

კავკასიის უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმა

სახელი, გვარი ----------

სამაგისტრო ნაშრომის შემფასებლის (რეცენზენტის) ფორმა:

შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა	მაქსიმუმ 10ქულა	
ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა	მაქსიმუმ 10 ქულა	
კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა	მაქსიმუმ 10 ქულა	
კვლევის საბოლოო შედეგები	მაქსიმუმ 10 ქულა	

ხელმოწერა: ----------
თარიღი: ----------

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შეფასების კრიტერიუმები:

სახელი, გვარი ----------
სტუდენტის სახელი გვარი----------
სამაგისტრო ნაშრომის სათაური ----------

შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა	მაქსიმუმ 10ქულა	
ნაშრომის სტრუქტურა	მაქსიმუმ 10 ქულა	
კვლევის მეთოდოლოგია და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა	მაქსიმუმ 10 ქულა	
კვლევის საბოლოო შედეგები	მაქსიმუმ 10ქულა	
ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა	მაქსიმუმ 10ქულა	
პრეზენტაციის უნარი	მაქსიმუმ 5 ქულა	
რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე, კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და სიღრმისეულობა	მაქსიმუმ 5 ქულა	

ხელმოწერა: ----------

თარიღი: ----------

დანართი N5

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი განახილება

სამაგისტრო ნაშრომის შემფასებლის (რეცენზენტის) შეფასების კრიტერიუმები:

1. შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა- 10 ქულა	
10-9 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული
8-7 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება
6-5 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული
4-3 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული
2-1 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე
0 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა არ არის ჩამოყალიბებული
2. ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა -10 ქულა	
10-9 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ზედმიწევნით პასუხობს თემას. ტექსტში გამოყენებული ინფორმაციასამართლებრივ ჩარჩოშია, სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები სწორადაა მითითებული; ნაშრომი დაწერილია შეცდომების გარეშე, გამართულად.
8-7 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემას, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას. სხვისი ნაშრომებიდანამონარიდები და ციტატები კეთილსინდისიერადაა მითითებული; ნაშრომი დაწერილია შეცდომების გარეშე, სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
6-5 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემას, ინფორმაციის მცირე ნაწილის წყაროარაა მითითებული, ხოლო ციტირება ეთიკურად გამართულია; ნაშრომი დაწერილია უმნიშვნელო შეცდომებით, სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
4-3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული, ინფორმაციის საკმაოდ დიდი ნაწილის წყარო დაუდგენელია, ხოლო ციტატების გარკვეულინაწილის წყარო არაკვალიფიციურადაა მინიშნებული; ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის წაკითხვას, ტექსტი გამართული არაა სტრუქტურულად.
2-1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურას აკლია შესაბამისობა და ხარისხი. ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი; ტექსტი შეიცავს უამრავ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომებს, რის გამოც მისი შინაარსის გაგება გართულებულია.

0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს. გამოყენებულიინფორმაცია გაურკვეველი წარმოშობისაა, ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი; ტერმინები არასწორია და პრაქტიკულად მისი შინაარსი გაუგებარია.
3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა- მაქსიმუმ 10ქულა	
10-9 ქულა	კვლევის მეთოდები კომპლექსურად, კვალიფიციურად და სრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი წარმატებით შეძლებს უპასუხოსკვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეციერო ლიტერატურა სრულად შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
8-7 ქულა	კვლევის მეთოდები კვალიფიციურადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი შეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლოშერჩეული მასალა და სამეციერო ლიტერატურა შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს, მაგრამ საჭიროებს შევსებას.
6-5 ქულა	კვლევის მეთოდები არასრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი ვერ შეძლებს სრულად უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეციერო ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს კვლევის მოთხოვნებს.
4-3 ქულა	შერჩეული მეთოდოლოგია მოძველებულია და შეუსაბამოა თემასთან. მაგისტრანტი ვერშეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული.
2-1 ქულა	კვლევის მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არის შემთხვევითი, აკლია შესაბამისობა და ხარისხი.
0 ქულა	კვლევის მეთოდები საერთოდ არ არის შერჩეული, ხოლო შერჩეული მასალა და სამეციეროლიტერატურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
4. კვლევის საბოლოო შედეგები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია მაღალი თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობის შედეგების მიღება.
8-7 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია სასწავლო და პრაქტიკული დანიშნულების შედეგების მიღება.
6-5 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია სასწავლო დანიშნულების შედეგების მიღება.
4-3 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით ნაკლებად აქვს დასაბუთებული. შედეგების მიღება მოითხოვს დამატებით დაზუსტებას.
2-1 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით არ აქვს დასაბუთებული. შედეგების მიღება საეჭვოა.
0 ქულა	მაგისტრანტს არ გააჩნია შეხედულება კვლევის საბოლოო შედეგების შესახებ. რაიმე დანიშნულების მქონე შედეგების მიღება შეუძლებელია.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შეფასების კრიტერიუმები:

1. შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა- 10 ქულა	
10-9 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული.
8-7 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება.
6-5 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული
4-3 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
2-1 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.
0 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა არ არის ჩამოყალიბებული.
2. ნაშრომის სტრუქტურა - 10 ქულა	
10-9 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ზედმიწევნით პასუხობს თემის სათაურს.
8-7 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას.
6-5 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემის სათაურს.
4-3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული.
2-1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა აკლია შესაბამისობა და ხარისხი.
0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდარ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა- მაქსიმუმ 10ქულა	
10-9 ქულა	კვლევის მეთოდები კომპლექსურად, კვალიფიციურად და სრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი წარმატებით შეძლებს უპასუხოს კვლევისძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა სრულად შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
8-7 ქულა	კვლევის მეთოდები კვალიფიციურადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი შეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს, მაგრამსაჭიროებს შევსებას.
6-5 ქულა	კვლევის მეთოდები არასრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი ვერ შეძლებს სრულად უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს კვლევის მოთხოვნებს.
4-3 ქულა	შერჩეული მეთოდოლოგია მოძველებულია და შეუსაბამოა თემასთან. მაგისტრანტი ვერშეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული.
2-1 ქულა	კვლევის მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არის შემთხვევითი, აკლია შესაბამისობა და ხარისხი.
0 ქულა	კვლევის მეთოდები საერთოდ არ არის შერჩეული, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიეროლიტერატურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.

4. კვლევის საბოლოო შედეგები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია მაღალი თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობის შედეგების მიღება.
8-7 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია სასწავლო და პრაქტიკული დანიშნულების შედეგების მიღება.
6-5 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია სასწავლო დანიშნულების შედეგების მიღება.
4-3 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით ნაკლებად აქვს დასაბუთებული. შედეგების მიღება მოითხოვს დამატებით დაზუსტებას.
2-1 ქულა	მაგისტრანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით არ აქვს დასაბუთებული. შედეგების მიღება საეჭვოა.
0 ქულა	მაგისტრანტს არ გააჩნია შეხედულება კვლევის საბოლოო შედეგების შესახებ. რაიმე დანიშნულების მქონე შედეგების მიღება შეუძლებელია.
5. ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება, აკადემიური წერისკულტურა - მაქსიმუმ 10 ქულა	
10-9 ქულა	ტექსტში გამოყენებული ინფორმაცია სამართლებრივ ჩარჩოშია, ხოლო სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები კეთილსინდისიერადაა მითითებული; ნაშრომის ენობრივი
	სტრუქტურა გამართულია და აზრობრივი მხარე თანმიმდევრული. ნაშრომი შესრულებულიაშეცდომების გარეშე, გამართულად. სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
8-7 ქულა	სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები კეთილსინდისიერადაა მითითებული; ნაშრომი დაწერილია გრამატიკული და სტილისტური შეცდომების გარეშე, გამართულია და აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული. სათანადოდაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
6-5 ქულა	ინფორმაციის მცირე ნაწილის წყარო არაა მითითებული, ხოლო ციტირება ეთიკურად გამართულია; ნაშრომი დაწერილია უმნიშვნელო შეცდომებით, გამართულია და აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული. სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
4-3 ქულა	ინფორმაციის საკმაოდ დიდი ნაწილის წყარო დაუდგენელია, ასევე ციტატების გარკვეულინაწილის წყარო არაკვალიფიციურადაა მინიშნებული; ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის წაკითხვას, ტექსტი გამართული არაა სტრუქტურულად, არის ტერმინოლოგიური შეცდომები.
2-1 ქულა	ინფორმაცია საეჭვოა, ხოლო ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი; ტექსტი შეიცავს უამრავტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომებს, რის გამოც მისი შინაარსის გაგება გართულებულია.
0 ქულა	გამოყენებული ინფორმაცია გაურკვეველი და საეჭვო წარმოშობისაა, ხოლო ციტატები უადგილოდ და წყაროების გარეშეა მოყვანილი; ტექსტი დაწერილია ბუნდოვნად, ტერმინები არასწორია და პრაქტიკულად მისი შინაარსი გაუგებარია.
6. პრეზენტაციის უნარი - მაქსიმუმ 5 ქულა	
5ქულა	პრეზენტაციისას შინაარსობრივი, ფორმალური მხარე სრულყოფილია და აუდიტორიასთანკონტაქტი მაღალია. საკითხი ზუსტად არის დასმული და გადმოცემულია ამომწურავად, ჩატარებულია ღრმა ანალიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები. მაღალია პროექტისვიზუალური გაფორმება და მაგისტრანტი სრულად ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას და ყველა კითხვაზე ავლენს საფუძვლიან ცოდნას;

4 ქულა	შინაარსობრივი, ფორმალური მხარე სრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთანკონტაქტი მაღალია. საკითხი ზუსტადაა დასმული და გადმოცემულია ამომწურავად, ჩატარებულია ღრმა ანალიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები. მაღალია პროექტისვიზუალური გაფორმება და მაგისტრანტი ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას, მაგრამ ყველა კითხვაზე ვერ ავლენს საფუძვლიან ცოდნას;
3 ქულა	შინაარსობრივი მხარე სრულყოფილია, ფორმალური მხარე კი არასრულყოფილი. პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი დაბალია. საკითხი ზუსტად არის დასმული, მაგრამ არ არის გადმოცემული ამომწურავად. მაგისტრანტს უჭირს აუდიტორიასთან ურთიერთობა, უმეტეს კითხვაზე ვერ ავლენს საფუძვლიან ცოდნას;
2 ქულა	შინაარსობრივი, ფორმალური მხარე არასრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთანკონტაქტი დაბალია. საკითხი ზუსტად არის დასმული, მაგრამ არ არის გადმოცემული ამომწურავად. საშუალოა პროექტის ვიზუალური გაფორმება, მაგისტრანტს უჭირს აუდიტორიასთან ურთიერთობა, ავლენს მწირ ცოდნას;
1 ქულა	შინაარსობრივი, ფორმალური მხარე არასრულყოფილია. გადმოცემულია მხოლოდ ზოგიერთი საკითხი. მაგისტრანტი ვერ ახდენს მასალის პრეზენტაციას.
0 ქულა	პრეზენტაცია არაეფექტიანად არის შესრულებული და მაგისტრანტი საუბრობს თემისაგან გასხვავებულ საკითხებზე.
1. რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე, კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებზე გაცემულიპასუხების სიზუსტე და სიღრმისეულობა - მაქსიმუმ 5 ქულა	
5ქულა	სტუდენტი დამაჯერებლად და არგუმენტირებულად პასუხობს კომისიის შეკითხვებს, მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული პასუხები რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე.
4 ქულა	სტუდენტი დამაჯერებლად პასუხობს კომისიის შეკითხვებს, თუმცა ზოგიერთ პასუხს აკლიაარგუმენტაცია. სტუდენტს გააზრებული აქვს პასუხები რეცენზენტის შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე.
3 ქულა	სტუდენტი პასუხობს კომისიის შეკითხვებს, თუმცა პასუხებს აკლია დამაჯერებლობა და არგუმენტაცია. რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე ყველა პასუხი გააზრებული არ არის.
2 ქულა	კომისიის შეკითხვებზე პასუხები არადამაჯერებელია და აკლია არგუმენტაცია. სტუდენტს არ აქვსგააზრებული და დამაჯერებლად ვერ პასუხობს რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.
1 ქულა	სტუდენტი გააზრებულად ვერ პასუხობს კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებს. არ არის სწორიპასუხები რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე.
0 ქულა	სტუდენტი ვერ პასუხობს კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებს, არ აქვს პასუხები რეცენზენტისშენიშვნებსა და რეკომენდაციებზე.

მაგისტრატურის კონკურსანტთა შეფასების ფორმა

დანართი N 6

კომისიის წევრის სახელი, გვარი								**აკადემიური ხარისხი**	
		გასაუბრების მაქსიმალური ქულა 100						**გადაწყვეტილება**	
	კონკურსანტი	ბაკალავრიატის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი **10 ქ.**	კვლევითი მუშაობის გამოცდილება ან სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა ან სტატია ან სამომავლო სამაგისტრო საკვლევი საკითხის კონცეფცია **30 ქ.**	სამოტივაციო წერილი **25 ქ.**	პრეზენტაციელობა **15 ქ.**	ინგლისური ენის ცოდნის დონე **20 ქ.**	**ქულათა ჯამი**	**დიახ**	**არა**
1									
2									
3									
4									
5									